საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

შსს დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ანგარიში

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2023 წელი

სარჩევი

1. შესავალი 3
2. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ხანგრძლივობა 3
3. სამართლებრივი დაცვის გარანტიები 6
4. პირველადი სამედიცინო შემოწმება 9
5. არასათანადო მოპყრობისაგან დაცვა 10
6. დღის განრიგი და გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობები 12
7. ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა 13
8. სამედიცინო მომსახურება 14
9. არასრულწლოვნები 14

1. შესავალი

2023 წლის 21 ივლისს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა. ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ასევე განხორციელდა მცირე ვიზიტი 2023 წლის 18 სექტემბერს. 2023 წლის 21 ივლისის ვიზიტის დროს ცენტრში განთავსებული იყო 9 უცხო ქვეყნის მოქალაქე მამაკაცი, მათგან 1 არასრულწლოვანი და 1 პირი, რომლის ასაკიც ჯერ არ იყო დადგენილი, თუმცა ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად [1] მიჩნეული იყო, როგორც ბავშვი და მოთავსებული იყო არასრულწლოვნებისთვის განკუთვნილ ოთახში.[2] მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა იმ გარემოებების შეფასება, თუ რამდენად არიან დაცული შსს დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები არასათანადო მოპყრობისაგან, როგორ მიუწვდებათ მათ ხელი სამართლებრივი დაცვის გარანტიებზე, სამედიცინო მომსახურებასა და სხვა სერვისებზე და რამდენად შეესაბამება მათი საცხოვრებელი პირობები საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს. [3] წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა მონიტორინგის ვიზიტის დროს ადგილზე გარემოს შეფასებას, დოკუმენტაციის გაცნობას, პერსონალთან და განთავსებულ პირებთან გასაუბრებას, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ ინფორმაციას.

მომზადებული ანგარიში გაეგზავნა შსს მიგრაციის დეპარტამენტს მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ვიზიტების შემდგომ დროებითი განთავსების ცენტრში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, რაც ასევე ასახულია წინამდებარე ანგარიშში. [4] სახალხო დამცველი მიესალმება, რომ გრძელდება კონსტრუქციული და მაღალი ხარისხის თანამშრომლობა შსს მიგრაციის დეპარტამენტთან, როგორც ინფორმაციის გაზიარების კუთხით, ასევე რიგი რეკომენდაციების შესრულების მზაობის კუთხით.

2. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ხანგრძლივობა

უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-5 პუნქტით დაკავებული უცხოელი დროებითი განთავსების ცენტრში შეიძლება მოთავსდეს 3 თვემდე ვადით. უფლებამოსილი ორგანოს

[1] ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარი N6 პ.71.

[2] ოჯახის წევრთან ერთად არცერთი არასრულწლოვანი არ იყო განთავსებული

[3] 2023 წელს განახლდა შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ინსტუმენტები მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით.

[4] შსს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 27 ნომებრის წერილის MIA 8 23 03480698 მიღების შემდგომ, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 2023 წლის 7 დეკემბერს, შსს დროებითი განთავსების ცენტრში განახორციელმა მცირე ვიზიტი ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული ცვლილებების გასაცნობად.

მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 6 თვემდე ვადით. მნიშვნელოვანია, მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა უცხო ქვეყნის მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ვადა არ გაჭიანურდეს. მიღებული ინფორმაციის თანახმად, დროებითი განთავსების ცენტრში 2023 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით შესახლებული 72 პირიდან სამი თვით ან მეტი ხნით 15 პირი იყო განთავსებული და მათ შორის, მოთავსების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი 6 თვემდეც კი აღწევდა.[5]

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა მოთავსებული პირების ცენტრში დაყოვნების მიზეზები, რომელიც სხვადასხვა ფაქტორთან არის დაკავშირებული. გაირკვა რომ, დაყოვნება ძირითადად უკავშირდება თავშესაფრის მოთხოვნის და მასზე უარის მიღების შემთხვევაში, 2 ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების პროცედურებს, რომლის განხილვასაც, როგორც წესი, თვეები ესაჭიროება. ზოგ შემთხვევაში, დაყოვნება დაკავშირებულია პირის მოქალაქეობის სახელმწიფოს საკონსულოებიდან სამგზავრო დოკუმენტების მოპოვებასთან. საყურადღებოა, იმ პირების შემთხვევები, რომლებიც პენიტენციური დაწესებულებების დატოვებისთანავე თავსდებიან დროებითი განთავსების ცენტრში მათი ქვეყნიდან გაძევების მიზნით. როგორც ირკვევა, სპეციალური პენიტენციური სამსახური მსჯავრდებულის გათავისუფლებამდე 2-3 დღით ადრე ატყობინებს შსს მიგრაციის დეპარტმენტს მსჯავრდებულის ვინაობას და გათავისუფლების დროს და ადგილს, რის შემდეგაც მიგრაციის დეპარტამენტი უკავშირდება პოლიციის დანაყოფებს, რომელთაც უნდა მოახდინონ გათავისუფლებული პირის დაკავება და დროებითი განთავსების ცენტრში ტრანსპორტირება.[6] როგორც გაირკვა, შსს მიგრაციის დეპარტამენტი მხოლოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართვის შემდეგ იწყებს მოძიებას, გააჩნია თუ არა პირს სამგზავრო დოკუმენტი და მხოლოდ ცენტრში განთავსების შემდეგ იგეგმება მისი წარმოშობის ქვეყანაში ტრანსპორტირება, რაც ცენტრში განთავსების პერიოდს მნიშვნელოვნად აჭიანურებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დაინერგოს უწყებათშორისი კოორდინაციის უფრო ეფექტიანი მექანიზმი, რათა მოხდეს გაძევების პროცედურის დროში ეფექტიანად აღსრულება და მოთავსების ხანგრძლივობის შემცირება.[7] მნიშნელოვანია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი

[5] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 29 სექტემბრის წერილი MIA12302855902.

[6] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 9 აგვისტოს MIA 2 23 02313201 წერილის თანახმად, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან, 1 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ, შსს დანაყოფების მიერ დაკავდა და დროებითი განთავსების სამმართველოს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსდა 11 პირი.

[7] ევროპის სახელმწიფოებში დანერგილი პრაქტიკის და რეგულაციების თანახმად, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მსჯავრდებულის გაძევების პროცედურა იწყება მისი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს, შესაბამისად, დროულად ხდება მათთვის სამგზავრო დოკუმენტაციის შეგროვება და კოლექტიური დაბრუნების ოპერაციით ან ჩარტერული რეისების საშუალებით მათი წარმოშობის ქვეყნაში ტრანსპორტირება, მიგრანტთა განთავსების ცენტრებში მათი დაყოვნების გარეშე. გაძევების პროცედურის განხორციელება დასაშვებია, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პირს სასჯელის მოხდის ვადის გასვლამდე გარკვეული პერიოდი აქვს დარჩენილი.

მსჯავრდებულის გაძევების პროცესისთვის მზადება დაიწყოს მისი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში.

მონიტორინგის შედეგად ასევე, გაირკვა, რომ დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომები პრაქტიკაში პრაქტიკულად არ გამოიყენება. [8] მიღებული ინფორმაციით, 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 1 აგვისტომდე, შსს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების თაობაზე, სასამართლოში წარდგენილი 53 შუამდგომლობიდან, ყველა დაკმაყოფილდა. ასევე, დაკმაყოფილდა ყველა შუამდგომლობა, რომელიც მიგრაციის დეპარტამენტის მიერ იქნა წარდგენილი სასამართლოში, უკვე განსაზღვრული 3 თვიანი ვადის გაგრძელების თაობაზე.[9] სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოუყენებლობაზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს ის ფაქტიც, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის არ არის უზრუნველყოფილი უფასო იურიდიული დახმარება. დაკავების ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ ფურცელზე არ უნდა არსებობდეს და ის პრაქტიკაში რეალურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.[10] მნიშნელოვანია, რომ მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყოს ალტერნატიული ზომების გამოყენებაზე და ცენტრში განთავსების ხანგრძლივობის მაქსიმალურად შემცირებაზე.

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს

- ურთიერთთანამშრომლობის გზით, მიიღონ შესაბამისი ზომები, საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულების პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებამდე, მათი გაძევების პროცედურის დაწყებისა და დროული ადმინისტრირების მიზნით

იხილეთ, საფრანგეთის შსს მინისტრის ინსტრუქცია მსჯავრდებული პირების გაძევების პროცედურის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.legifrance.gouv.fr/download/pdf/circ?id=42674> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023] ასევე, იხილეთ ბელგიის გამოცდილება შემდეგ ბმულზე: <https://dofi.ibz.be/fr/themas/onwettig-verblijf/meer-weten/prison> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023]. ასევე, იხილეთ, "გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეობის და საზღვრების აქტი 2022" (Nationality and Borders Act 2022) დებულება 44. ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2022/36/section/47/enacted> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[8] უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების შესაძლებლობას, როგორც კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელი პირის შემთხვევაში, ასევე თავშესაფრის მაძიებელი პირის შემთხვევაში. კანონის 65-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიულ ზომებს.

[9] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 9 აგვისტოს MIA 2 23 02313201 წერილი.

[10] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის „გაიდლაინები თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების და დაკავების ალტერნატიული ზომების კრიტერიუმების და სტანდარტების შესახებ", გაიდლაინი 4.3. ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/503489533b8.html> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023]; იხილეთ ასევე: გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/73/195 გლობალური ნაკრები უსაფრთხო და მოწესრიგებული მიგრაციის შესახებ, მიზანი 13, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MIN8gE> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

რეკომენდაცია მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიას

- შეისწავლოს შსს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომების გამოუყენებლობის საკითხი და მიიღოს შესაბამისი ზომები ალტერნატიული ზომების პრაქტიკაში გამოყენების ხელშესაწყობად

3. სამართლებრივი დაცვის გარანტიები

მონიტორინგის ფარგლებში სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შეისწავლა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის საკითხი, დაკავების პირველივე მომენტიდან, დროებითი განთავსების ცენტრში ყოფნის სრული პერიოდის განმავლობაში.

თარჯიმნით უზრუნველყოფა

ცენტრში განთავსებულ პირებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებით, დაკავების და პირადი დათვალიერების ოქმების შემოწმებით ირკვევა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არ მქონე პირები, როგორც დაკავების, ასევე ცენტრში მოთავსების დროს (მათ შორის ექიმის მიერ პირველადი სამედიცინო შემოწმებისას) უზრუნველყოფილი არიან თარჯიმნის მომსახურებით. მიღებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თარჯიმნებთან, რომლებიც თარგმნას უზრუნველყოფენ. მიუხედავად ამისა, დროებითი განთავსების ცენტრში ყოფნის პერიოდში, მოთავსებული პირებისთვის ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი თარჯიმნის მომსახურება, რაც გარკვეულწილად ართულებს მოთავსებულ პირებსა და პერსონალს შორის კომუნიკაციას, ასევე, სამედიცინო მომსახურების მიღებას. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ სამართალწარმოებისა და სამედიცინო შემოწმების დროს, უფასოდ, კვალიფიციური და მიუკერძოებელი თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ყურადღება ასევე გამახვილდეს ყოველდღიური და ყოფითი კომუნიკაციის პროცესში თარგმნის ხელმისაწვდომობაზე. ამისათვის, შესაძლებელია, დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და თარგმნის აპლიკაციების საშუალებით, გაუმჯობესდეს კომუნიკაცია მოთავსებულ პირებსა და ცენტრის თანამშრომლებს შორის.

უფლებების შესახებ ინფორმირება

ცენტრში მოთავსებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, დაკავების დროს, პოლიციის თანამშრომლებმა მათ გააცნეს უფლებები და დაკავების საფუძვლები თარჯიმნის დახმარებით, თუმცა მათთვის არ გადაუციათ დაკავების ოქმი, რომელშიც წერილობით არის მითითებული ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრში მოთავსების შემდეგ, მათ ასევე გააცნეს უფლება-მოვალეობები და განუმარტეს, რა შემთხვევაში შეუძლიათ ეძიონ და მიიღონ თავშესაფარი, თუმცა ეს ინფორმაცია წერილობით

არ გადაუციათ. აქვე აღსანიშნავია, რომ უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა უფლება-მოვალეობები, სხვადასხვა ენაზე განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსის დერეფნებში, რაც ხელმისაწვდომია მოთავსებული პირებისთვის. დერეფნებში ასევე განთავსებულია შსს გენერალური ინსპექციის და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცხელი ხაზის ნომრები, თუმცა 2023 წლის 21 ივლისის მონიტორინგის ვიზიტისას სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი არ იყო მითითებული. დადებითად აღსანიშნავია, რომ პრევენციული ვიზიტის შემდგომ, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომრები გამოაკრეს სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის განყოფილებების დერეფნებში, კომპიუტერის ოთახში და სხვა.

ოჯახის და საკონსულოს ინფორმირება

უცხო ქვეყნის მოქალაქის დაკავების მომენტიდანვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ოჯახის ან მის მიერ არჩეული პირის ინფორმირება დაკავების შესახებ. დამატებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკონსულოსთვის მიმართვის შესაძლებლობა. [11] ამასთან, საკონსულოსთან დაკავშრება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას თვითონ დაკავებული პირი ისურვებს. [12] მიღებული ინფორმაციით, დროებითი განთავსების ცენტრიდან ოჯახის და საკონსულოს ინფომრირების პრობლემა მოთავსებულ პირებს არ შექმნიათ. თუმცა უცნობია, რამდენად არის დაცული ეს უფლება დაკავების პირველ ეტაპზე, როდესაც პირი პოლიციის განყოფილებაში ან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყავთ, ვინაიდან შსს სისტემაში ოჯახის ინფორმირების თაობაზე ჩანაწერი მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებში ფიქსირდება, დოკუმენტალურად შეუძლებელია დადგინდეს, მოითხოვა თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქემ ოჯახის ინფორმირება და დროულად დაუკმაყოფილდა თუ არა ეს მოთხოვნა. ზოგიერთ ქვეყანაში დამკვირდებული კარგი პრაქტიკის მიხედვით, საიმიგრაციო დაკავებისას და დაკავების ცენტრებში მობილური ტელეფონის ფლობა დაშვებულია. [13] მნიშნელოვანია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა დაკავების მომენტიდან მაქსიმალურად მოკლე დროში შეძლონ ოჯახთან დაკავშირება, რისთვისაც მათ დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა საკუთარი ტელეფონით ან ცენტრის საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ინტერნეტი) აცნობონ ოჯახს მათი ადგილსამყოფელის და მდგომარეობის შესახებ.

ადვოკატის ხელმისაწვდომობა

---

[11] ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ. მუხლი 36 (1) (b).

[12] ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-19 საერთო ანგარიშიდან „დაკავებული არარეგულარული მიგრანტების სამართლებრივი დაცვის გარანტიები“ CPT/Inf (2009) პარა: 83. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806cce8e> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[13] ფრანგული საიმიგრაციო კანონმდებლობით მობილური ტელეფონი დაშვებულია, თუ მას ფოტოს გადაღების ფუნქცია არ აქვს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.service-public.fr/particuliers/vosdroits/F2780> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023]. მობილური ტელეფონების ქონა არ არის აკრძალული არც იტალიური კანონმდებლობით. ხელმისაწვდომია: <http://www.prefettura.it/FILES/allegatinews/1176/9._B-Rregolamento_unico_CIE.pdf> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

უცხო ქვეყნის მოქალაქეები, გარდა არასრულწლოვნებისა, ვერ სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით. იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი დათქმას აკეთებს გადახდისუუნარობაზე. გადახდისუნარიანობა დგინდება სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები ამ ბაზაში რეგისტრირებული არ არიან და ამდენად, მათი გადახდისუუნარობა ვერ დგინდება. შესაბამისად, ფაქტობრივად გადახდისუუნარო უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არ მქონე პირები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ კერძო ადვოკატზე, ასევე ვერ სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებითაც, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობასთან ერთად, არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიხედვით, თუ პირს არ აქვს შესაძლებლობა თავად გადაიხადოს ადვოკატის მომსახურების საფასური, მიგრანტი პირებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასო იურიდიული დახმარება.[14] აქედან გამომდინარე, მნიშნელოვანია, შევიდეს ცვლილება იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილი იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის.

რაც შეეხება ადვოკატთან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის შესაძლებლობას, დროებითი განთავსების ცენტრში გამოყოფილია სპეციალური ოთახი, სადაც ადვოკატს შეუძლია შეხვდეს განთავსებულ პირს კონფიდენციალურ გარემოში.

წინადადება საქართველოს პარლამენტს

- შევიდეს ცვლილება იურიდიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონში და უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის გათვალისწინებული დაკავების უცხო ქვეყნის მოქალაქეების და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარება

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შესახებ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის გათვალისწინებული დაკავების დროს, დაკავებულ პირებს დაუყოვნებლივ გადაეცეთ დაკავების ოქმი და მათთვის გასაგებ ენაზე უფლებების შესახებ წერილობითი ინფორმაცია

[14] ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-19 საერთო ანგარიშიდან „დაკავებული არარეგულარული მიგრანტების სამართლებრივი დაცვის გარანტიები“ CPT/Inf (2009) პარა: 81. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806cce8e> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

- დანერგოს შესაბამისი აპარატურის და თარგმანის საშუალებების გამოყენება დროებითი განთავსების ცენტრში ყოველდღიური კომუნიკაციის გაადვილების მიზნით

4. პირველადი სამედიცინო შემოწმება

პირველადი სამედიცინო შემოწმება ტარდება პირის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებისთანავე და ყველა შემთხვევაში ივსება დროებითი განთავსების ცენტრში უცხოელის მოთავსებისას ჩატარებული პირველადი სამედიცინო შემოწმების ფორმა.[15] 2023 წლის ივლისში განხორციელებული მონიტორინგის დროს ექიმებს მიღებული ჰქონდათ ინსტრუქცია, რომ ძალადობის სავარაუდო შემთხვევების თაობაზე შეტყობინება პირდაპირ გაუგზავნონ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, განსხვავებით გასული წლებისგან, როდესაც შეტყობინების გაგზავნისას, სამედიცინო სამსახური წერდა პატაკს დროებითი განთავსების ცენტრის დირექტორის სახელზე, რომელიც თავის მხრივ აცნობებდა მიგრაციის ცენტრის მონიტორინგის სამსახურს, საიდანაც შეტყობინება იგზავნებოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. 2023 წელს დროებითი განთავსების ცენტრიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება არ გაუგზავნიათ.

დადებითად აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში ეტაპობრივად გადაიდგა ნაბიჯები სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესრულების კუთხით. 2023 წლის ივლისში განხორციელებული მონიტორინგის დროს, დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმები აღჭურვილი იყვნენ ფოტოაპარატით, თუმცა არ ჰქონდათ განსაზღვრული ფოტოგადაღების უფლებამოსილება. ასევე, არ იყო შემუშავებული ფოტოგადაღების ტექნიკური ინსტრუქცია, სადაც დეტალურად გაიწერებოდა ის პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფდა ხარისხიანი ფოტოების გადაღებას და გადაღებული ფოტომასალის ერთიანი, სისტემატიზებული წესით შენახვას.

მისასალმებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 25 ივლისის №48 ბრძანებით შევიდა ცვლილება „უცხოელის დაკავებისა და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №631 ბრძანებაში და N3 დანართით „დროებითი განთავსების ცენტრში უცხოელის მოთავსებისას ჩატარებული პირველადი სამედიცინო შემოწმების ფორმა“ განისაზღვრა ექიმის უფლებამოსილება მოახდინოს დაზიანებების ფოტოგადაღება, შემუშავდა ფოტოგადაღების ინსტრუქცია და გადაღებული ფოტომასალის სისტემატიზებულად შენახვის წესები.

რაც შეეხება სამედიცინო პერსონალის გადამზადებას, აღსანიშნავია, რომ ცენტრში დასაქმებული ექიმები პარალელურად დასაქმებული არიან შსს დროებითი მოთავსების

[15] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №631 ბრძანების N5 დანართი.

იზოლატორებში, სადაც 2022-2023 წლებში გაიარეს ტრენინგები: „მოსათავსებელ/მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირებისა და ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ“; „ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდება დროებითი მოთავსების იზოლატორებში და პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ინტერვიუების ტექნიკის შესახებ“; „წამების შემთხვევათა სამედიცინო შემოწმებისა და დოკუმენტირების შესახებ“ და „ნივთიერებებთან დაკავშირებული პრობლემების მქონე პატიმრების სიმპტომური მკურნალობა და კლინიკური მართვის შესახებ“.[16]

მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამედიცინო შემოწმება კონფიდენციალურ გარემოში ტარდება. უცხო ქვეყნის მოქალაქეები აღნიშნავდნენ, რომ ექიმს ცალკე, სხვა პირის დასწრების გარეშე შეხვდნენ. სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თანამშრომელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ესწრება, როდესაც პირი აგრესიულია და შესაბამის გრაფაში მიეთითება დასწრების მიზეზი. უცხოელის მოთავსებისას ჩატარებული პირველადი სამედიცინო შემოწმების ფორმაში შევსებულია მესამე პირის, თარჯიმნის დასწრების გრაფაც. ექიმის განმარტებით, დათვალიერება ხდება ცალკე ოთახში და მას თარჯიმანი არ ესწრება. თარჯიმნის მომსახურებას იყენებენ გასაუბრებისას და დოკუმენტაციის შევსების დროს.

5. არასათანადო მოპყრობისაგან დაცვა

მონიტორინგის განხორციელებისას, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ. განთავსებული პირები ზოგადად დადებითად ახასიათებდნენ თანამშრომლებს.

მიღებული ინფორმაციით, თუ დაფიქსირდება დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლის მხრიდან განთავსებულ პირზე დაზიანების მიყენების შემთხვევა, ექიმის მიერ შეივსება დროებითი განთავსების ცენტრში უცხოელის მოთავსებისას ჩატარებული პირველადი სამედიცინო შემოწმების ფორმა.[17] რაც შეეხება განთავსებულ პირებს შორის ძალადობას, დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება ადგენს ტრავმების/თვითდაზიანების სპეციალურ ჟურნალში ექიმის მიერ აღრიცხვის ვალდებულებას.[18] 2023 წელს 6 განთავსებულ პირს აქვს მიღებული დაზიანებები სხვა განთავსებულ პირებთან ფიზიკური დაპირისპირების შედეგად, რომელთაგან ერთ პირს ჰოსპიტალიზაცია და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა. ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირებების შესახებ ასევე დგება ოქმი ადმინისტრაციის მიერ, თუმცა არ არის

[16] შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 9 აგვისტოს MIA 2 23 02313201 წერილი.

[17] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს №631 ბრძანების N5 დანართი.

[18] უცხოელის დაკავების და დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ცენტრში მოთავსების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 19 აგვისტოს N631 ბრძანება. მუხლი 7.7.

მითითებული, რა ზომებს მიმართეს დაპირისპირების აღმოსაფხვრელად. დროებითი განთავსების ცენტრში არ არის შემუშავებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისთვის კომპეტენტური ორგანოსთვის შეტყობინების წესიც.

ადმინისტრაციებმა მაქსიმალურად უნდა მიმართონ კონფლიქტის პრევენციას, მედიაციას და დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზებს იმისათვის, რომ დაიცვან დაკავებული პირის უსაფრთხოება მნიშნელოვანია გაანალიზდეს განთავსებულ პირებს შორის ჩაგვრის და ვიქტიმიზაციის საფრთხე. ამისათვის პერსონალმა უნდა შეძლოს პირველ რიგში აღმოაჩინოს გამომწვევი ფაქტორები, რამაც შესაძლოა შექმნას დაძაბულობა განთავსებულ პირებს შორის, მაგალითად ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ ნიადაგზე.[19] ამისათვის მნიშვნელოვანია კონფლიქტების პრევენციის პროტოკოლის და თანმიმდევრული გეგმის არსებობა.

ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, განთავსებულ პირთა შორის დაპირისპირების განმეორების შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მათ ცალკე ოთახებში განათავსებენ. აქვე საყურადღებოა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს N231 ბრძანების 25-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელების გამოყენების წესს. კერძოდ, თუ პირი დაარღვევს ცენტრში არსებული საქმიანობის წესით დადგენილ მოთხოვნებს, მისი განთავსება მოხდება მკაცრი ზედამხედველობის ოთახში არა უმეტეს 10 დღის ვადით.[20] ამასთან, უცხოელის მიერ უხეში და არაერთგზის დარღვევის არსებობის შემთხვევაში მკაცრი ზედამხედველობის ოთახში მოთავსების შემდგომ შეეზღუდება უფლება შეხვდეს სასურველ პირს, ისარგებლოს ტელეფონით, რეკრეაციული ზონით, მიიღოს და გააგზავნოს ამანათი. აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას იძლევა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ერთბაშად შეეზღუდოს გარე სამყაროსთან კონტაქტის ყველა საშუალება. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაუშვებელია გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების შეზღუდვა დისციპლინური სახდელის სახით. აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიდგომით, არათუ საიმიგრაციო კანონმდებლობის საფუძველზე თავისუფლება შეზღუდული პირების შემთხვევაში, არამედ პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი

[19] წამების პრევენციის საერთაშორისო ასოციაციის (APT) და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNCHR) მიგრაციის კონტექსტში დაკავების მონიტორინგის პრაქტიკული სახელმძღვანელო. გვ. 128. ხელომსაწვდომია: <https://bit.ly/41LN44j> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[20] მკაცრი ზედამხედველობის ოთახში განთავსებულია 1 საწოლი და 1 ე.წ. ანტივანდალური უნიტაზი. ოთახში, უნიტაზის არეალის გარდა, მიმდინარეობს ვიდეომეთვალყურეობა. ოთახში არ არის კონდინციონერი. 2023 წელს, იზოლაციის ოთახში განთავსების შემთხვევა არც გასაუბრებით და არც დოკუმენტაციის გაცნობით არ აღმოჩენილა.

პატიმრების შემთხვევაშიც კი, არ უნდა მოხდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების შეზღუდვა.[21]

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს

- შემუშავდეს კონფლიქტების პრევენციის და მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი
- შევიდეს ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს N231 ბრძანების 25-ე მუხლში და გაუქმდეს დასჯის მიზნით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა

6. დღის განრიგი და გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობები

რაც უფრო ხანგრძლივად იმყოფებიან საიმიგრაციო ცენტრებში პირები, მით უფრო მეტი საზრისიანი აქტივობა უნდა იყოს მათთვის შეთავაზებული. საზრისიანი აქტივობები შეიძლება იყოს, ენის კურსები, კომპიუტერული კლასები, მებაღეობა, კულინარია და ხელნაკეთი ნივთების დამზადება. [22] სამწუხაროდ, დროებითი განთავსების ცენტრში საზრისიანი აქტივობების ორგანიზება არ ხდება. მწირია ცენტრში არსებული ბიბლიოთეკის რესურსიც და არ არის შეთავაზებული სამაგიდე თამაშები. დღის განმავლობაში, ცენტრში განთავსებულ მამაკაცებს თავისუფლად, თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად, შეუძლიათ ცენტრის ეზოში გადაადგილება და სპორტული აქტივობით დაკავება. დადებითად აღსანიშნავია, რომ სასეირნო ეზო აღიჭურვა თანამედროვე სატრენაჟორო ინვენტარით, რაც სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემულ რეკომენდაციას წარმოადგენდა. რაც შეეხება ქალებს, მათ კვლავ უსაფრთხოების თანამშრომელს უნდა სთხოვონ კარის გაღება და სასეირნო სივრცემდე მიყოლა.

ცენტრში განთავსებულ პირებს შეუძლიათ მოსასვენებელ ოთახში თავისუფლად შესვლა და ტელევიზორის ყურება, თუმცა ცენტრის ტერიტორიაზე ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით სარგებლობა კვლავ დღეში ორჯერ, თითო საათით არის შესაძლებელი. სახალხო დამცველი წლებია გასცემს რეკომენდაციას, რომ იმ ფონზე, როდესაც ცენტრში მოთავსებული პირებისთვის არ არის შეთავაზებული ორგანიზებული აქტივობები და ისინი მოკლებულნი არიან ოჯახთან ხშირი კონტაქტის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, რომ

[21] ნელსონ მანდელას წესები 43.3. და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 100, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[22] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2020 წლის 10-14 აგვისტოს ხორვატიაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2021)29 პ.50. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680a4c199> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

გაიზარდოს ცენტრში დღის განმავლობაში კომპიუტერით სარგებლობის დრო.[23] შსს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თავისუფალი დრო ნაწილდება, ისე რომ ყველა განთავსებულ პირს მიეცეს კომპიუტერით თანაბრად სარგებლობის საშუალება. აღნიშნიული მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა კომპიუტერების რაოდენობის გაზრდა.

რაც შეეხება ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობებს, განთავსებული პირებისთვის ხელმისაწვდომია ტელეფონი და ინტერნეტი, ასევე შეუძლიათ მიიღონ მნახველი და ამანათი. მიღებული ინფორმაციის თანახმად, ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 6 საათამდე ყველას აქვს შესაძლებლობა უფასოდ დარეკოს 4 წუთის ხანგრძლივობით, ნებისმიერ ქვეყანაში. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მეტჯერაც ეძლევათ დარეკვის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ცენტრში ვიზიტორის მიღება შეიძლება სამშაბათს და პარასკევს - 10:00 – 13:00 საათამდე და მხოლოდ 20 წუთით. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიხედვით, მნიშვნელოვანია დაკავებული მიგრანტი პირების მიერ ოჯახის წევრის და მეგობრების ნახვის შესაძლებლობა, როგორც მინიმუმ კვირაში ერთხელ ერთი საათით.[24] აღსანიშნავია, რომ ცენტრში მოთავსებული პირების უმრავლესობა მოკლებულია მნახველების ხშირ ვიზიტებს, რადგან მათ უმრავლესობას ახლობლები არ ჰყავთ საქართველოში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო საათების განმავლობაში არ იყოს დაწესებული შეზღუდვა მნახველების მიღების დღეებთან დაკავშირებით და გაიზარდოს შეხვედრის ხანგრძლივობა მინუმუმ 1 საათამდე, რათა განთავსებული პირს ჰქონდეს საკმარისი დროით შეხვედრის შესაძლებლობა შორი მანძილიდან და იშვიათად მოსულ მნახველთან.

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს

- კომპიუტერების რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოს დღის განმავლობაში ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა
- ცენტრში მყოფი პირებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს სამუშაო საათებში მნახველების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობა და გაიზარდოს შეხვედრის დრო მინიმუმ ერთ საათამდე

7. ფიზიკური გარემო და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა

დადებითად უნდა შეფასდეს დროებითი განთავსების ცენტრში არსებული გამართული ინფრასტრუქტურა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, 2023 წლის ივლისში განხორციელებული პრევენციული ვიზიტისას, გამოვლინდა პირადი ჰიგიენის

[23] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2020 წლის 6-16 ოქტომბრის კოსოვოში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2021) 23 პ.46. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680a3ea32> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[24] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის ლიეტუვაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2023)01 პ.147. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680aa51af> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

დაცვასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. კერძოდ, დალაქის პოზიცია კვლავ ვაკანტური იყო და განთავსებული პირები საკუთარი ძალებით იჭრიდნენ თმას. საერთო სარგებლობის თმის საჭრელი მანქანების დეზინფექცია კი არ ხორციელდებოდა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის შემდგომ, 2023 წლის 23 სექტემბრიდან შსს დროებითი განთავსების ცენტრმა ხელშეკრულება გააფორმა დალაქთან, რომელიც საჭიროებისამებრ ემსახურება განთავსებულ პირებს. ასევე, ვიზიტის შემდგომ, დორებითი განთავსების ცენტრმა შეიძინა ტანსაცმლის მარაგი და დაამონტაჟა მწერებისაგან დამცავი ბადეები ფანჯრებზე.

8. სამედიცინო მომსახურება

დროებითი განთავსების ცენტრს ემსახურება 4 ექიმი და 1 მთავარი ექიმი. ექიმები მორიგეობენ 24 საათის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სამედიცინო მომსახურებას უწევენ ცენტრში განთავსებულ პირებს. ოთხივე ექიმი პარალელურად მუშაობს დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

დაწესებულებაში ადგილზე შესაძლებელია სიმპტომურად მედიკამენტების მიწოდება. საჭიროების შემთხვევაში, მოთავსებული პირი გაჰყავთ კონტრაქტორ სამედიცინო დაწესებულებაში, უმეტესად კი შსს-ს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში შემავალ პოლიკლინიკაში სადაც შესაძლებელია საჭირო გამოკვლევებისა და კონსულტაციების ჩატარება, მათ შორის სტომატოლოგიური მომსახურების მიღება. სამედიცინო მომსახურება უფასოა. დროებითი განთავსების ცენტრი მედიკამენტებით მარაგდება ამავე სამსახურიდან. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს დაენიშნება ისეთი მედიკამენტი, რომელიც არ აქვთ, ისინი მიმართავენ ჯანდაცვის დეპარტამენტს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მედიკამენტის მიწოდებას. ნებისმიერ მედიკამენტს განთავსებული პირი ექიმის თანდასწრებით იღებს.

ცენტრში მოთავსებისას განთავსებულს უტარდება ტესტი Covid-19-ზე, „B“ და „C“ ჰეპატიტებზე და აივ ინფექციაზე. ცენტრში არ მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის სკრინინგი რამე კონკრეტული ინსტრუმენტით. ფსიქიატრთან კონსულტაციაზე გადამისამართებას ახდენს ექიმი იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო შემოწმების დროს რაიმე საყურადღებო შენიშნა ან/და უსაფრთხოების თანამშრომლებმა მიაწოდეს ინფორმაცია, მოთავსებული პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემასთან დაკავშირებით. ფსიქიატრის კონსულტაციის ჩატარება შესაძლებელია ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის გამოძახებით. სტაციონარში გადაყვანის საჭიროებას წყვეტს ექიმი ფსიქიატრი და პაციენტი გადაჰყავთ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში.

9. არასრულწლოვნები

ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე საიმიგრაციო ცენტრში ბავშვის, მათ შორის ზრდასრულთან მყოფი ბავშვის, განთავსება უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ უკიდურეს

ზომას და რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდით.[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას არასრულწლოვნის საიმიგრაციო დაკავების ადგილებში განთავსების შემთხვევებში და განიხილავს კუმულატიურად განთავსების პირობებს და ხანგრძლივობასთან ერთად, მაშინ როდესაც იგივე განთავსების პირობები და დაკავების ხანგრძლივობა სრულწლოვანთან მიმართებით არ ფასდება როგორც მე-3 მუხლის დარღვევა.[26] საერთაშორისო პრაქტიკა ვითარდება იმ მიმართულებით, რომ სრულად აღმოიფხვრას ბავშვის საიმიგრაციო ცენტრებში მოთავსება, ოჯახის წევრთან ერთად თუ მის გარეშე.[27] ბავშვის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების სრულ აღმოფხვრამდე მნიშვნელოვანია მისი ადაპტირებულ გარემოში განთავსება, სადაც არ არის თავისუფლების შეზღუდვის ადგილისთვის დამახასიათებელი დამთრგუნველი ატმოსფერო და შეთავაზებულია სათამაშოები, წიგნები და სხვა აქტივობები.

მონიტორინგის ვიზიტის დროს დროებითი განთავსების ცენტრში იმყოფებოდა 1 არასრულწლოვანი და 1 პირი, რომლის ასაკიც ჯერ არ იყო დადგენილი, თუმცა მიიჩნეოდა არასრულწლოვნად. ორივე პირი სრულწლოვნებისგან განცალკევებით იყვნენ მოთავსებულები. ვიზიტის დროს, ორივე მათგანი ცენტრში 4 თვის წინ იყო მოთავსებული და შესაბამისად, გახანგრძლივებული იყო მოთავსების ვადაც. მათი საცხოვრებელი გარემო-პირობები არ განსხვავდებოდა ცენტრში მოთავსებული სრულწლოვანი პირების საცხოვრებლისგან და არ იყო ბავშვებზე მორგებული. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში დროებითი განთავსების ცენტრში არასრულწლოვნების განთავსების ხვედრითი წილი მაღალია. კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 30 სექტემბრამდე,

---

[25] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Popov v. France, 19 იანვარი 2012 Appl. No. 39472/07 and 39474/07 პარა. 140-141. ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/FRE?i=001-108710> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[26] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევის შეფასებისას მხედველობაში იღებს სამ კრიტერიუმს - ბავშვის ასაკი და მოწყვლადობა, მატერიალური პირობები განთავსების ცენტრში და ხანგრძლივობა. N.B. and Others v. France შემთხვევაში მატერიალურ პირობებში შეფასებული იქნა ხმაურიანი გარემო და ის ფაქტი, რომ ოჯახების განთავსების ფლიგელი გამჭვირვალე მინით იყო გამოყოფილი სრულწლოვანების საერთო სივრცისგან. ასევე ის ფაქტი რომ უსაფრთხოების ზომების ხასიათი დაკავების/საპატიმრო დაწესებულებებში არსებულის მსგავსი იყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N.B. and Others v. France, 31 მარტი 2022, application no. 49775/20 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარართლოს გადაწყვეტილება საქმეზე M.D. et A.D. c. France 22 July 2021, application no 57035/18, para: 41-50 ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-211122 [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].

[27] საფრაგეთის სენატი 2023 წლის 15 მარტიდან განიხილავს კანონპროექტს, რომლითაც 16 წლამდე არასრულწლოვნის საიმიგრაციო ცენტრში განთავსება გახდება დაუშვებელი, (მუხლი 12). ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ ხელმისაწვდომია: <https://www.senat.fr/leg/pjl22-434.html> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023]. ასევე, იხილეთ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/73/195 გლობალური ნაკრები უსაფრთხო და მოწესრიგებული მიგრაციის შესახებ, 29. (h) ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MIN8gE> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023] და ბავშვის უფლებების კონვენცია მუხლი. 37.ბ.

განთავსებული 72 პირიდან 21 არასრულწლოვანი იყო, მათგან 11 უმეთვალყურეოდ მყოფი არასრულწლოვანი.[28]

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიესალმება ცენტრის ეზოში ბავშვებისათვის გასართობი სივრცის მოწყობას, თუმცა არასრულწლოვნებს გასეირნების უფლებას დღეში მხოლოდ 1-2 საათით აძლევენ, რაც განთავსებას კვლავ დამთრგუნველ ხასიათს სძენს. ამასთან, მათთვის არ არის შეთავაზებული არანაირი აქტივობები და მხოლოდ ტელევიზორის ყურებაა შესაძლებელი. დროებითი განთავსების ცენტრში ადგილზე არ არის არც ფსიქოლოგი და არც სოციალური მუშაკი. ფსიქოლოგის გამოძახება ხდება საჭიროების მიხედვით, რომელსაც ექიმი განსაზღვრავს. სოციალური მუშაკის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ საპროცესო წარმომადგენლობით. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი, მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომელებიც პირადად ეკონტაქტებიან არასრულწლოვანს.[29] მონიტორინგის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრში განთავსებულმა ორმა არასრუწლოვანმა ერთმანეთს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიაყენა, რომელთაგან ერთ-ერთის ჰოსპიტალიზაციას კი გახდა საჭირო. სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ცენტრში განთავსებულ არასრულწლოვნებზე, განსაკუთრებით კი ოჯახის გარეშე განთავსებულ არასრულწლოვნებზე, უნდა განხორციელდეს სათანადო ზრუნვა, ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების მუდმივი მეთვალყურეობით და ჩართულობით.

რეკომენდაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს

- ცენტრში არასრულწლოვანის ყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნა და არასრულწლოვანებთან პირადი კონტაქტის შესაძლებლობა
- ცენტრში მოთავსებულ სრულწლოვანებს მოთავსებისას განემარტოთ ფსიქოლოგის კონსულტაციით სარგებლობის უფლება და მათთვის პერიოდულად შეთავაზებულ იქნას ფსიქოლოგის კონსულტაცია
- გაიზარდოს არასრულწლოვანთა სუფთა ჰაერზე გასეირნების დრო და შეთავაზებულ იქნას არასრულწლოვნებზე მორგებული აქტივობები
- მოეწყოს ბავშვზე მორგებული ინფრასტრუქტურა არასრულწლოვანთა საცხოვრებელ ნაწილში

[28] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2023 წლის 29 სექტემბრის MIA12302855902 წერილი.

[29] ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), დაცვის გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი არალეგალი მიგრანტებისათვის, ამონაწერი მე-19 საერთო ანგარიშიდან, გამოქვეყნდა 2009 წელს, პარ. 99, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16806cce7d> [ბოლოს ნანახია: 18.10.2023].